

2 ფლამდე ასაპის ბავშვის კვება

**კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო
სტანდარტი**

(პროტოკოლი)

პუბლიკი პოლიტიკური და სამსახურული პროცესები და მათი მართვა

პროცესები

(სამშობიარო სახლი და პირველადი ჯანდაცვის ოგონი)

I. პიპოგალაქტია - რძის ნაკლებობა

დეზინიცია

არსებობს “ჭეშმარიტი” და “ცრუ” პიპოგალაქტია.

“ცრუ” პიპოგალაქტია უხშირესად ვლინდება ბავშვის სიცოცხლის მე-3-4 დღეს, მე-3-4 კვირას და მე-3-4 თვეს ეგრეთწოდებული “კრიტიკულ პერიოდებში”, როდესაც ბავშვის მოთხოვნილება საკვებზე იზრდება, რაც განპირობებულია მისი ასაკისა და წონის მატებით. ამ პერიოდში ბავშვი იწყებს შედარებით ხშირ კვებას, რაც თავის მხრივ იწვევს ლაქტაციის გაძლიერებას. ბავშვის მიერ კვების სიხშირის ზრდა დედას უქმნის რძის ნაკლებობის შთაბეჭდილებას. კრიტიკულ პერიოდებში ბავშვის ხშირი კვება ძუძუთი კვების გახანგრძლივების აუცილებელი პირობაა. ამ დროს არ არის რეკომდენებული საკვების შემატება.

„ჭეშმარიტი” პიპოგალაქტია - ჭეშმარიტი პიპოგალაქტიის შემთხვევაში სახეზეა რძის ნაკლებობის სარწმუნო ნიშნები.

„ჭეშმარიტი” პიპოგალაქტიის გამომწვევი მიზეზები:

- კვების დაგვიანებული დაწყება;
- იშვიათი, ხანმოკლე ან საათობრივი ძუძუთი კვება;
- ძუძუზე არასწორი მოჭიდება და არასწორი პოზიცია;
- ბოთლიდან კვება;
- ენის მოკლე ლაგამი;
- დედის ფსიქოლოგიური ფაქტორი - რწმენის უქმარისობა, სტრესი, გადაღლა;
- დედაზე ზოგიერთი მავნე ფაქტორის გავლენა – ალკოჰოლი, მოწევა, ჩასახვის საწინააღმდეგო აბები, დიურეტიკები, ძლიერი გამოფიტვა.

პლინიპური სიმატომები

სარწმუნო ნიშნები

- წონის მცირე ნამატი (500 გ-ზე ნაკლები თვეში, ან 15-30 გრამზე ნაკლები დღეში. ან 125 გ-ზე ნაკლები კვირაში);
- მცირე რაოდენობით კონცენტრირებული შარდის გამოყოფა (შარდვა 6-ჯერზე ნაკლები 24 სთ);
- გაიშვიათებული ნაწლავთა მოქმედება, მუქი ფერის, მკვრივი კონსისტენციის განავლით.

არასარწმუნო ნიშნები

- ბავშვი ვერ კმაყოფილდება კვების შემდეგ, ხშირად ითხოვს ძუძუს, ხშირად ტირის;
- ბავშვი უარს ამბობს ძუძუზე;
- გამოწველისას რძე არ გამოდის;

მართვა

სამდიცინო პერსონალი პრობლემის მართვამდე უნდა დარწმუნდეს, აქეს თუ არა დედას საკმარისი რაოდენობის რატიო, გაარკვიოს რძის ნაკლებობის შესაძლო მიზეზი და დაადგინოს არის თუ არა სახეზე პიპოგალაქტიის სარწმუნო ნიშნები.

რეკომენდებულია კვების შეფასების შემდეგი მეთოდების გამოყენება:

1. ანამნეზის შეგროვება;
2. კვების ტექნიკის შეფასება;
3. კვების ეფექტურობის შეფასება;
(იხ. პროტოკ. „ძუძუთი კვების ეფექტურობის შეფასება”)

ჰიპოგალაქტიის მართვის ძირითადი მეთოდები:

- ხშირი ძუძუთი კვების უზრუნველყოფა (8-12 ჯერ 24 სთ-ში), არ არის რეკომენდებული კვების ხანგრძლივობის შეზღუდვა;
- სარძევე ჯირკვლის ხშირი დაცლა, გამოწველა კვების შემდეგ, გამოწველილი რძის საკვებად გამოყენება კოვზით ან ჭიქით;
- დღის განმავლობაში ხშირად კანი-კანთან კონტაქტის განხორციელება - ხელს უწყობს ძუძუთი კვებას და რძის რაიდენობის მომატებას;
- დამით ძუძუთი კვების უზრუნველყოფა;
- კვების სწორი პოზიციის შერჩევა;
- ენის მოკლე ლაგამის არსებობის შემთხვევაში ქირურგიული ჩარევა;
- დედის რაციონალური კვების უზრუნველყოფა, სითხეები უნდა მიიღოს მოთხოვნილების შესაბამისად, გაძლიერებული წყურვილის გრძნობის დასაკმაყოფილებლად. სითხის მიღება დასაშვებია ბავშვის კვების პროცესშიც;
- დედისთვის სტრესული სიტუაციის თავის არიდება, ხშირი დასვენება.

რძის “მომყვანი” საშუალებების გამოყენებას არ აქვს გავლენა რძის პროდუქციაზე. მაგრამ, თუ დედა დარწმუნებულია “რძის მომყვანი” საშუალებების ეფექტურობაში და მოცემული საშუალება უსაფრთხოა, მიზანშეწონილია მისი გამოყენება დედის დადებითი ფსიქოლოგიური განწყობის ჩამოსაყალიბებლად.

„ჭეშმარიტი“ ჰიპოგალაქტიის შემთხვევაში, შესაძლებელია საჭირო გახდეს ალტერნატიული საკვების დროებითი შემატება ლაქტაციის აღდგენამდე. თუ ვერ ხერხდება ლაქტაციის აღდგენა მიზანშეწონილია ბავშვი გადაყვანილ იქნას შერეულ კვებაზე.

II ტუჩის ნაპრალი

დევინიცია

განვითარების თანდაყოლილი ტუჩის დეფექტი, რომელიც გამოხატულია ტუჩის მთლიანობის დარღვევით, შეიძლება იყოს ცალმხრივი ან ორმხრივი, მცირე ან დიდი ზომის.

ტუჩის ნაპრალის არსებობა ახალშობილს უქმნის პრობლემებს ძუძუთი კვების ეფექტურად განხორციელებაში.

სიმართლები

- ძუძუზე არასწორი მოჭიდება;
- სარძევე ჯირკვლის დვრილსა და ახალშობილის პირის დრუს შორის ჰერმეტულობის დარღვევა და რძის გამოსაწოვად სათანადო წნევის არარსებობა;
- ბავშვი ვერ წოვს ძუძუს, ვერ ახერხებს შიმშილის გრძნობის დაკმაყოფილებას.

მართვა

პრობლემის მართვის ძირითადი მიზანია ჰერმეტულობის აღდგენა და სწორი მოჭიდების განხორციელების ხელშეწყობა.

- მცირე ზომის დეფექტის შემთხვევაში ძუძუთი კვების დროს დედამ ბავშვი უნდა დაიჭიროს ვერტიკალურ ე.წ. „დათვის“ პოზიციაში ან ცერა თითოთ დახუროს დეფექტი კვების პროცესში;
- დიდი დეფექტის შემთხვევაში დვრილი უნდა მოთავსდეს პირის დრუში დეფექტის მხრიდან, რომ დვრილმა გადაინაცვლოს ნაპრალის საწინააღმდეგო მხარეს და დეფექტი ამოივსოს სარძევე ჯირკვლით;
- დიდი დეფექტის შემთხვევაში ზოგჯერ საჭირო ხდება ბავშვის კვება გამოწველილი რძით კოგზის, ფინჯნის ან ზონდის მეშვეობით. (ის დანართი 1 ფინჯნიდან კვება).

III. სასის ნაპრალი

დეფექტი

განვითარების თანდაყოლილი სასის დეფექტი, რომელმაც შესაძლოა მოიცვას რბილი სასა ან მაგარი სასა ან ორივე ერთად, შესაძლოა იყოს მცირე ან დიდი ზომის ან შერწყმული ტუჩის ნაპრალთან.

მხოლოდ რამდენიმე მილიმეტრის ნაპრალის შემთხვევაში კვებასთან დაკავშირებული პრობლემები მინიმალურია. ხოლო თუ იგი დიდი ზომის არის ან შერწყმულია ტუჩის ნაპრალთან, ძუძუთი კვების განხორციელების დროს იქმნება კვებასთან დაკავშირებული პრობლემები.

სიმართლები

- ძუძუზე არასწორი მოჭიდება;
- სარძევე ჯირკვლის დვრილსა და ახალშობილის პირის დრუს შორის ჰერმეტულობის დარღვევა და რძის გამოსაწოვად სათანადო წნევის არარსებობა;
- ბავშვი ვერ წოვს ძუძუს, ვერ ახერხებს შიმშილის გრძნობის დაკმაყოფილებას.

მართვა

- მცირე დეფექტის შემთხვევაში ან თუ სასის ნაპრალი შერწყმულია ტუჩის ნაპრალთან მიზანშეწონილია ძუძუთი კვების დროს ბავშვი მოთავსდეს ვერტიკალურ ე.წ. „დათვის“ პოზიციაში, დედამ გამოიყენოს ცერა თითო ტუჩის ნაპრალის დასახურად;
- ზოგიერთ შემთხვევაში კვება შეიძლება განხორციელდეს სპეციალური გრძელი საწოვარათი;

- თუ დეფექტი დიდი ზომისაა საჭირო ხდება ბავშვის კვება გამოწველილი რძით კოვნიოთ, ფინჯნიოთ ან ზონდიოთ;
- კვების დაწყების წინ მიზანშეწონილია ძუძუს მასაჟი რძის გამოდინების გასაძლიერებლად.

IV. პიპრტონული პირის ღრუ

დეზინიცია

ძუძუს ძიების რეფლექსის საპასუხოდ ბავშვი პირის გაღების და გამდიზიანებლის მიმართულებით სახის შებრუნების ნაცვლად წინ სწევს ტუჩებს (ხორთუმისებურად) და არ ახორციელებს ძუძუზე მოჭიდებას. პიპერტონული პირის ღრუს სიმპტომი ხშირად ვლინდება დაბადების შემდეგ პირველ 2 საათის განმავლობაში.

სიპოვები

- ბავშვი არ ეძებს ძუძუს;
- ხორთუმისებურად წინ წევს ტუჩებს;
- არ აღებს პირს;
- არ ახორციელებს ძუძუზე მოჭიდებას.

მართვა

- ლოფის შიგნითა ზედაპირის და ღრძილების მასაჟი საჩვენებელი თითის ხანგრძლივი ზეწოლით;
- საჩვენებელი თითით მასაჟის მიმართულება – ყბის ძვლის უკანა ნაწილიდან ტუჩისკენ;
- არ არის რეკომენდებული სწრაფი, მსუბუქი შეხება (როგორიცაა პირის ღრუს გაწმენდა), რომელიც იწვევს აგზებას და პირის ღრუს კუნთების დაჭიმვას.

V. პიპრტონული პირის ღრუ

დეზინიცია

ძუძუს ძიების რეფლექსის საპასუხოდ ახალშობილი დუნედ რეაგირებს, პირის ღრუ მოშეგებულია და ბავშვი ვერ ეჭიდება ძუძუს.

სიპოვები

- ძუძუს ძიების რეფლექსი დუნება;
- ახალშობილი ვერ ახორციელებს ძუძუზე მოჭიდებას.

მართვა

- ლოფის შიგნითა ზედაპირის და ღრძილების მსუბუქი მასაჟი საჩვენებელი თითით;
- თითის მოძრაობა სწრაფი, დარტყმითი;
- მიმართულება – ყბის ძვლის უკანა ნაწილიდან ტუჩისკენ.

VI. სარძევე ჯირპგლის ბამპგრივება

დეფინიცია:

სარძევე ჯირპგლის გამკვრივება – ძუძუს გაჯირჯვება და შეშუპება, რომლიც განპირობებულია სარძევე ჯირპგლის რძით გადავსებით, უხშირესად ვლინდება მშობიარობის შემდეგ პირველი კვირის განმავლობაში.

გამომწვევი მიზანები

- რძის ჭარბი პროდუქცია;
- ძუძუთი კვების დაგვიანებული დაწყება;
- ბავშვის არასწორი მოჭიდება;
- იშვიათი, საათობრივი კვება;
- კვების ხანგრძლივობის შეზღუდვა;
- ძუძუს არასრული დაცლა.

პრიტერიუმები

დამადასტურებელი

- სარძევე ჯირპგლის შეშუპება, გამკვრივება;
- სარძევე ჯირპგლი სიმძიმის შეგრძნება.

გამომრიცხავი

არ აღინიშნება

- სარძევე ჯირპგლის შეშუპება და გამკვრივება;
- სარძევე ჯირპგალში სიმძიმის შეგრძნება.

პლინიპური სიმპტომები:

- შეშუპება, გამკვრივება;
- სიმძიმის შეგრძნება;
- ტკივილი;
- რძის ნაკადის ინტენსივობის შემცირება;
- იშვიათად ტემპერატურული რეაქცია.

მართვა

- დედისთვის ბავშვის კვების სწორი პოზიციის შერჩევა;
- ბავშვის ხშირი მოთხოვნილებითი კვება;
- კვების დაწყებამდე ძუძუდან რძის მცირე რაოდენობის გამოწველა, ბავშვის ძუძუზე უკეთ მოეჭიდების უზრუნველსაყოფად;
- კვების დაწყებამდე სარძევე ჯირპგალზე თბილი საფენის დადება (10-15 წთ), კისრის მიღამოს და სარძევე ჯირპგლის მსუბუქი მასაჟი (ზემოდან ქვემო მიმართულებით. არ არის რეკომენდებული მასაჟის დროს არეოლას გაღიზიანება). კვების შემდეგ სარძევე ჯირპგალზე ცივი საფენის გამოყენება 10-15 წთ;
- დასაშვებია დაზიანებულ სარძევე ჯირპგალზე კომბოსტოს საფენის გამოყენება.

პროცესიანტიკა

- ძუძუთი კვების ადრეული დაწყება;
- კვების თავისუფალი რეჟიმი;
- ძუძუს ბოლომდე დაცლა;
- სწორი მოჭიდების უზრუნველყოფა.

VII. მასტიტი

დეზინიცია

მასტიტი – სარძევე ჯირკვალის ერთი ან რამდენიმე ალგეოლისა და სადინარის ანთება.

გამოწვევი მიზანები:

რძის შეგუბება

- სარძევე ჯირკვლის არასრული დაცლა;
- იშვიათი, საათობრივი კვება;
- არასწორი მოჭიდება და პოზიცია;
- ტანსაცმლის ან თითების (კვების დროს) ზეწოლით გამოწვეული სადინრის დახმობა;
- რძის ნაკადის ინტენსივობის შეფერხება სტრესის, გადაჭარბებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვისას;
- სარძევე ჯირკვლის ქსოვილის დაზიანება.

ინფიცირება

განპირობებულია უხშირესად შემდეგი მიკროორგანიზმებით *Staphylococcus aureus* და *Albus*, *Escherichia coli*, *Streptococcus*, რომელებიც დგრილზე არსებული ნახეთქებიდან იჭრება სარძევე ჯირკვალში.

პრიტერიუმები

დამადასტურებელი

მასტიტი

- სარძევე ჯირკვლის რომელიმე უბნის გამკვრივება;
- ტკივილი;
- ტემპერატურული რეაქცია.

ინფექციური მასტიტი

- სარძევე ჯირკვლის რომელიმე უბნის გამკვრივებასა და ტკივილთან ერთად შემცივნების, ტემპერატურული რეაქციის, ზოგადი სისუსტის არ არსებობა;
- გამოწველილი რძე ბამბაზე ან საშრობ ქაღალდზე დაწვეთების შემდეგ არ ტოვებს ყვითელ ლაქას.

პლიციკური სიმატომები

- სარძევე ჯირკვლის რომელიმე უბნის გამკვრივება;
- ტკივილი;
- შეწითლება;
- დაზიანებული უბნის კანის სიმხურგალე;
- ტემპერატურული რეაქცია;
- შემცივნება;
- ზოგადი სისუსტე;
- ჰიპოგალაქტია.

მძურნალობა

მძურნალობის ძირითადი პრინციპებია:

- სარძევე ჯირკვლის დაცლა;
- საჭიროების შემთხვევაში ანტიბიოტიკოთერაპია;
- სიმპტომური თერაპია.

მასტიტის მკურნალობა

- ხშირი კვება, სარძევე ჯირკვლის ბოლომდე დაცლა;
- კვების სწორი პოზიციის შერჩევა - სხვადასხვა პოზიცია კვების დროს, ხელს უწყობს ძუძუს თანაბარზომიერ დაცლას. მიზანშეწონილია შეირჩეს ისეთი პოზიცია, რომ ბავშვის ნიკაპი და ქვედა ტუჩი მოექცეს დაზიანებული უბნის მხარეს;
- კვების დაწყება დაზიანებული მკერდიდან, განსაკუთრებით, ტკივილის შემთხვევაში;
- კვების დამთავრების შემდეგ ძუძუს გამოწველა.

ინფექციური მასტიტი

- ანტიბიოტიკოთერაპიის დაწყება რეკომენდებულია თუ გამოხატულია სარძევე ჯირკვლის მკვეთრი შეწითლება, ტკივილი, დვრილზე აღინიშნება ნახეთქები, საიდანაც შესაძლებელია ინფექციის შეჭრა, ტემპერატურული რეაქცია, შემცივნება, ზოგადი სისუსტე;
- ანტიბიოტიკის შერჩევა ეფუძნება ძირითადი გამომწვევების მგრძნობელობას

ანტიბიოტიკი	დოზა
ერიოტომიცინი	250 - 500 მგ 6 სთ-ში ერთხელ
ამოქსიცილინი	250 - 500 მგ 8 სთ-ში ერთხელ
ცეფალექსინი	250 - 500 მგ 6 სთ-ში ერთხელ

- ანტიბიოტიკოთერაპიის კურსის ხანგრძლივობა 7-10 დღე, მიუხედვებად იმისა, რომ ერთ ან ორ დღეში მდგომარეობა შეიძლება გაუმჯობესდეს. თუ ანტიბიოტიკოთერაპია ტარდება მოკლევადიანი კურსით, მაღალია მასტიტის კლინიკური ნიშნების განმეორების რისკი.

სიმპტომური მკურნალობა

- პარაცეტამოლი - ყოველ 6 სთ-ში ერთხელ მაღალი ტემპერატურის დროს;
- იბუპროფენი, როგორც ტკივილგამაყუჩებელი, ისე ანთებისსააწინაღმდეგო საშუალება (დაუშვებელია სხვა ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების გამოყენება);
- პრობლემის ეფექტური მართვის აუცილებელი კომპონენტები;
- ბავშვის კვების ან სარძევე ჯირკვლის გამოწველის წინ ძუძუს დაზიანებულ უბანზე თბილი საფენის გამოყენება 10-15 წთ, თბილი საფენი არ არის რეკომენდებული, თუ რამე თავისუფლად მოდის;
- კვების დამთავრების შემდეგ გრილი საფენი ტკივილის შემცირების მიზნით;
- დაზიანებულ სარძევე ჯირკვალზე დასაშვებია კომბოსტოს საფენის გამოყენება;
- კვების დროს დაზიანებული უბნის მსუბუქი მასაჟი, ზემოდან ქვემო მიმართულებით. არ არის რეკომენდებული მასაჟის დროს არეოლას გაღიზიანება;
- დედამ უნდა ატაროს თავისუფალი ტანსაცმლი;
- ინფექციური მასტიტის დროს უცილებელია დაზიანებული მკერდიდან ბავშვის კვების შეწყვეტა;
- თუ ანტიბიოტიკების მიღებიდან 2 დღეში მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, უნდა გამოირიცხოს აბსცესის არსებობა;
- თუ დედა მუშაობს, მიზანშეწონილია იგი გადავიდეს საავადმყოფო ფურცელზე, დაიცვას წოლითი რეჟიმი.

პროცედაციება

- ძუძუთი კვების ადრეული დაწყება;
- კვების თავისუფალი რეჟიმი;
- ძუძუს ბოლომდე დაცლა;
- სწორი მოჭიდების უზრუნველყოფა.

VIII ბრტყელი და ჩაბრუნებული დვრილი

დეზინიცია

ბრტყელი დვრილი - გადასწორებულია და არ სცილდება სარძევე ჯირკვლის არეოლას ზედაპირს.

ჩაბრუნებული დვრილი – ჩაზნექილია არეოლას ზედაპირიდან ქვემოთ, სწორდება (არაჭეშმარიტად ჩაბრუნებული დვრილი) ან არ სწორდება (ჭეშმარიტად ჩაბრუნებული დვრილი)

- არჭეშმარიტად ჩაბრუნებული დვრილი წევადია, არეოლას გადიზიანებით და დვრილის წევადობის ვარჯიშით იგი ადვილად სწორდება და არეოლას ზემოთ ამოდის. თუ დვრილი წევადია იგი არ წარმოადგენს დაბრკოლებას ძუძუთი კვების განხორციელებისთვის;
- ჭეშმარიტად ჩაბრუნებული დვრილი არ არის წევადი, არეოლას გადიზიანებით და წევადობის ვარჯიშით არ სწორდება, წარმოადგენს სერიოზულ დაბრკოლებას ძუძუთი კვების განხორციელებისთვის.

ბამომავები მიზანი

თანდაყოლილი ანატომიური დეფექტი

ძუძუთი კვების მართვა ბრტყელი და ჩაბრუნებული დვრილის დროს:

ბრტყელი და არაჭეშმარირად ჩაბრუნებული დვრილი

- აუცილებელია დახმარების აღმოჩენა მშობიარობიდან 1 საათის განმავლობაში პირველი მიჭიდების განხორციელების დროს;
- დედის დარწმუნება, რომ იგი შეძლებს ეფექტურად ძუძუთი კვების განახორციელებას, თუ ბავშვი სწორად მოეჭიდება ძუძუს. ბავშვი ეჭიდება არეოლას და არა დვრილს;
- ძუძუზე მოჭიდების განხორციელებამდე დვრილის გაღიზიანება და წინ წამოწევა (დვრილის დამუშავება ორი ან სამი თითოთ). ამ მიზნით შესაძლებელია რძის გამოსაწველი საშუალებების გამოყენება (იხ. ნახ.1), ეფექტურია წოვის პროცესში სპეციალური დვრილის საფარის გამოყენება;
- ბავშვის ძუძუზე სწორი მოჭიდების უზრუნველყოფა;
- დედისთვის კონსულტირების გაწევა და დვრილის წევადობის ვარჯიშის სწავლება;
- დედისთვის ბავშვის კვების სხვადასხვა პოზიციის შერჩევა, მაგ. "რაგბის ბურთის" პოზიცია (იხ. „2 წლამდე ბავშვის კვების“ გაიდლაინი);
- საჭიროების შემთხვევაში ბავშვის კვება გამოწველილი რძით ფინჯნით ან კოგზით.



ნახ. 1

ჭეშმარიტად ჩაბრუნებული დვრილი

- ჭეშმარიტად ჩაბრუნებული დვრილის არსებობის დროს აუცილებელია ბავშვის კვება გამოწველილი რძით, ვინაიდან ბავშვი ვერ ეჭიდება და არეოლას ვერ გამოწოვს რძის საჭირო რაოდენობას;
- თუ რძის გამოწველა ვერ ხერხდება ბავშვს უნდა შესთავაზონ ალტერნატიული საკვები.

პროცედასტიკა

- პროცედასტიკის მიზნით არ არის რეკომენდებული ბრტყელი და ჩაბრუნებული დვრილების წინასწარ დამუშავება და დვრილის წევადობის ვარჯიში ანტენატალურ პერიოდში. დვრილის გაღიზიანება იწვევს ოქსიტოკინის გამომუშავების გაძლიერებას და შესაძლოა ნაადრევი მშობიარობის ხელშემწყობი მიზეზი გახდეს.

IX დგრილის ნახეთში

დეფინიცია

დვრილების ნახეთქი – არეოლას და დვრილის კანის ზედაპირის მთლიანობის დარღვევა, უხშირესად ვლინდება მშობიარობიდან პირველი კვირის კანმავლობაში და სერიოზულ პრობლემას ქმნის ძუძუთი კვების განხორციელებისთვის.

გამომწვევი მიზეზები:

- ბავშვის ძუძუზე არასწორი მოჭიდება;
- დედის მჭიდრო ტანსაცმელი სარძევე ჯირკვლის მიდამოში;
- ანტისეპტიკური ხსნარების და მაღამოების გამოყენება დვრილისა და არეოლას დამუშავების მიზნით;
- საპნის ხშირი გამოყენება დვრილისა და არეოლას დამუშავების მიზნით (ყველა კვების დროს);
- დვრილისა და ბავშვის პირის დრუს კანდიდოზური ინფექცია.

პლინიპური ნიშვნები

- დვრილისა და არეოლას ზედაპირის მთლიანობის დარღვევა;
- სიხლდენა ნახეთქიდან;
- ტკივილი.

ძუძუთი კვების მართვა დვრილის ნახეთქის დროს:

- ძუძუზე სწორი მოჭიდების უზრუნველყოფა;
- ბავშვის სწორ პოზიციაში კვება;
- ანტისეპტიკური ხსნარების, ლოსიონების და მაღამოების გამოყენების შეზღუდვა;
- საპნის გამოყენება მხოლოდ ზოგადი ჰიგიენური აბაზანის დროს;
- კვების შემდეგ დვრილსა და არეოლაზე გამოწველილი რძის წასმა და მისი ჰაერზე შეშრობა;
- თბილი წყლის ან ჩაის კომპრესის გამოყენება დვრილზე ტკივილის შესამცირებლად.

პროცედასტიკა

- ბავშვის ძუძუზე სწორი მოჭიდების უზრუნველყოფა;
- პროფილაქტიკის მიზნით არ არის რეკომენდებული სარძევე ჯირკვალზე მაღამოების, საპნის, სპირტის და სხვა ანტისეპტიკური ხსნარების გამოყენება.

X დგრილის პანდიდოზური ინფექცია

დეფინიცია

დვრილის კანდიდოზური ინფექცია, რომელიც გამოწვეულია **candida**-ს მიკრობით და შერწყმულია ბავშვის პირის ლორწოვანის კანდიდოზურ ინფექციასთან (რძიანა).

ბრიტანიუმები

დამადასტურებელი

დედასთან დაკავშირებული:

- დგრილისა და არეოლას კანის ზედაპირის პრიალი;
- დგრილის ქავილი.

ბაგშვთან დაკავშირებული:

- თეთრი ფერის ნადები პირის ღრუს, ლოფების, ენისა და სასის ლორწოვან
- გარსზე (რძიანა).

გამომრიცხავი

დედასთან დაკავშირებული:

- არ აღინიშნება დგრილის კანის ზედაპირის პრიალი;
- დგრილის ქავილი.

ბაგშვთან დაკავშირებული:

- არ აღინიშნება პირის ღრუს, ლოფების, ენისა და სასის ლორწოვანზე თეთრი ფერის ნადები.

სიმატომები

დედასთან დაკავშირებული:

- დგრილისა და არეოლას კანის ზედაპირის შეწითლება, პრიალი, მთლიანობის დარღვევა;
- დგრილის ქავილი, ტკივილი.

ბაგშვთან დაკავშირებული:

- თეთრი ფერის ნადები პირის, ლოფების, ენის ლორწოვან გარსებზე;
- ჭირვეულობა;
- ძუძუზე უარის თქმა;

მპურნალობა

აუცილებელია დედისა და ბაგშვის ერთდროული მკურნალობა.

დედის მკურნალობა

- დგრილების დამუშავება გენციანგიოლეტის 0,5%-იანი ხსნარით, დღეში 2-ჯერ ყოველდღიურად დაავადების ნიშნების გაქრობამდე;
- დაავადების სიპროცენტის გაქრობის შემდეგ დღეგამოშვებით 6-7 დღის განმავლობაში;
- დგრილის დამუშავება ნისტაგინის მალამოთი 100.000/გ დღეში ოთხჯერ ძუძუთი კვების შემდეგ. მალამოს გამოყენება მიზანშეწონილია გაგრძელდეს დაავადების ნიშნების გაქრობიდან კიდევ 7 დღის განმავლობაში.

ბაგშვის მკურნალობა

- პირის დამუშავება 0,25%-იან გენციანგიოლების ხსნარით დღეში 2-ჯერ 5 დღის (არანაკლებ 3 დღის) განმავლობაში;
- 100.000/გ. ნისტატინის სუსპენზიის პირში ჩაწვეთება 1 მლ. ოდენობით ოთხჯერ დღეში ჭამის შემდეგ 7-10 დღე.

პროცესიალიზაცია

- დედასთან და ბაგშვთან ჰიგიენის წესების დაცვა;
- ძუძუზე სწორი მოჭიდების უზრუნველყოფა;
- სატყუარას, საწოვრებისა და დვრილის ხუფების გამოყენების შეზღუდვა.

გაიდლაინი რომელსაც ეყრდნობა აღნიშვნელი პროტოკოლი - „2 წლამდე ასაკის ბაგშვის კვება”

აღამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რჩეულები

ნეონატოლოგი, პედიუტრი, ოჯახის ექიმი, მედდა.

მედიკამენტების ჩამონათვალი სამშობიარო სახლისთვის

1. გენციანგიოლების 0,5% და 0,25% ხსნარი
2. ნისტატინის მალამო 100000/გ
3. ნისტატინის სუსპენზია 100000/გ
4. ერითრომიცინი, ამოქსიცილინი, ცეფალექსინი,
5. პარაცეტამოლი, იბუპროფენი
6. ფინჯანი, ზონდი, კოვზი ახალშობილის კვებისთვის.

აუცილებელი პირობები: სამშობიარო სახლისა და პირველადი რგოლის სამედიცინო პერსონალი უნდა ფლობდეს ძუძუთი კვების მართვისა და მკურნალობის მეთოდებს.

ახალშობილის ფინანსურის პერიოდის ტემატიკა

- უფროსმა ბავშვი უნდა დაიჭიროს ნახევრად გერტიკალურ მდგომარეობაში;
- მიზანშეწონილია ბავშვის ზურგისა და კისრის ერთი ხელით დაფიქსირება, რომ თავის მოძრაობის დროს ბავშვმა არ დაღვაროს რძე;
- ფინჯანი ბავშვის პირთან ისე უნდა დაიჭირონ, რომ ფინჯანში მოთავსებული რძე შეეხოს ზედა ტუჩს;
- ნელი მოძრაობით ფინჯანი უნდა დაიხაროს ისე, რომ ენისა და ტუჩების დახმარებით ბავშვმა ამოიღოს რძე ფინჯანიდან;
- არ არის რეკომენდებული რძის ჩასხმა ბავშვის პირში და ძალდატანება;
- ბავშვს უნდა მიეცეს შესაძლებლობა მიიღოს რძის ის რაოდენობა, რამდენიც მას სურს.

ძუძუთი პვების ეფექტურობის შეფასება და ოპტიმალური ძუძუთი პვების პრინციპები

პროტოკოლი

სამშობიარო სახლი და ჯანდაცვის პირგელაზი რგოლი

1. დევინცია

ძუძუთი პვების წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას პვების ეფექტურობის შეფასება წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს ძუძუთი პვების მართვის პრინციპებისა და მათი თანმიმდევრული განხორციელების შეფასებას და პრობლემების იდენტიფიცირებას. პვების შეფასების შედეგები აუცილებლად უნდა აისახოს სამედიცინო ისტორიაში.

2. ძუძუთი პვების ეფექტურობის შეფასების მეთოდები

ძუძუთი პვების ეფექტურობა ფასდება შემდეგი ინდიკატერებით:

- ⇒ ანამნეზი;
- ⇒ პვების ტექნიკა;
- ⇒ პვების სიხშირე;
- ⇒ ახალშობილისა და ჩვილის შარდვის სიხშირე;
- ⇒ ახალშობილისა და ჩვილის ნაწლავთა მოქმედება;
- ⇒ ახალშობილისა და ჩვილის ქცევა კვებასთან მიმართებით;
- ⇒ ახალშობილისა და ჩვილის წონა;
- ⇒ დედის სარძევე ჯირკვლისა და დვრილის მდგომარეობა.

სამშობიარო სახლში ძუძუთი პვების ეფექტურობის შეფასება უნდა წარმოებდეს ძუძუთი კვებაზე უშუალო დაკვირვებით. დაკვირვება მიზანშეწონილია განხორციელდეს დღის განმავლობაში 1-2-ჯერ.

ჯანდაცვის პირგელად რგოლში შეფასება იწყება ანამნეზის შეგროვებით, ჯანდაცვის პირგელადი რგოლოს სპეციალისტი აგროვებს ინფორმაციას შემდეგ ინდიკატორებზე:

- პვების სიხშირე;
- დიურეზი;
- დეფეკაცია;
- ახალშობილის და ჩვილის ქცევა.

სხვა ინდიკატორები ფასდება უშუალო დაკვირვებით.

პვების ტექნიკა

პვების ტექნიკის შეფასება ხორციელდება პვებაზე უშუალო დაგვირგებით.

ფასდება:

- ძუძუზე მოჭიდება;
- პვების პოზიცია;
- რძის გადმოდინების ინტენსივობის ნიშნები (დედასთან და ბავშვთან).

ძუძუზე სწორი მოჭიდების ნიშნები:

- ფართოდ გაღებული პირი;
- გადმობრუნებული ტუჩები, რომლის ლორწოვანი გარსი ჩანს;
- ნიკაპი ებჯინება ძუძუს;
- არეოლას მეტი წილი ჩანს ბავშვის ზედა ტუჩიდან.

პვების სწორი პოზიციის ნიშნები:

- ბავშვის თავი და სხეული ერთ სწორ ხაზზე;
- ბავშვი მთელი სხეულით მიბრუნებულია დედისკენ და ეკვრის დედის სხეულს;
- დედა თავს კომფორტულად გრძნობს.

რძის გადმოდინების ინტენსივობის შეფასება დედასთან

- რძის გადმოსვლის შეგრძნება, რომელიც არ არის მტკიცნეული;
- მშობიარობის შემდეგ პირველი დღეების განმავლობაში მუცლის ტკივილი, რაც განპირობებულია საშვილოსნოს შეკუმშვით;
- კვების დროს რძის გადმოდინება მეორე ძუძუდან;
- დედის წყურვილის შეგრძნება ბავშვის კვების პროცესში;
- რელაქსაცია და ძილიანობა კვების შემდეგ;
- მკერდის დარბილება კვების შემდეგ.

რძის გადმოდინების ინტენსივობის შეფასება ბავშვთან

- ისმის წოვისა და ყლაპვის ხმა;
- 1-2 წოვით მოძრაობას მოყენება ყლაპვა;
- სველი რძიანი პირი;
- წოვის დროს მოშვებული სხეული.

პვების სიხშირე

ახალშობილი 24 საათში უნდა იკვებებოდეს ძუძუთი 8-12-ჯერ, მოთხოვნილების მიხედვით, ჩვილი მინიმუმ 7-ჯერ.

ცხრილი.

სწორი და არასწორი მოჭიდებისა და პოზიციის ნიშნები

სწორი მოჭიდების და პოზიციის ნიშნები	არასწორი მოჭიდების და პოზიციის ნიშნები
ბავშვი მთელი სხეულით შეტრიალებულია დედისაკენ და ეხება მის სხეულს	ბავშვი შემოტრიალებულია დედისკენ, მაგრამ არ ეხება მის სხეულს
პირი ფართოდ არის გადებული, ტუჩის ლორწოვანი ჩანს	პირი მოკუმულია ისე, თითქოს მოჭიდებულია საწოვარაზე, ტუჩის ლორწოვანი არ ჩანს
ლოყები გამობერილია და არ მონაწილეობს წოვის აქტში	ლოყები მონაწილეობს წოვის აქტში
ბავშვის ნიკაპი მიბჯენილია ძუძუზე	ნიკაპსა და ძუძუს შორის მანძილია
ბავშვის პირის ღრუში დვრილთან ერთად მოთავსებულია არეოლას 2,5 სმ	ბავშვის პირის ღრუში მოთავსებულია მხოლოდ დვრილი
ბავშვის ზედა ტუჩთან არეოლას უფრო მეტი ნაწილი ჩანს, ვიდრე ქვედა ტუჩთან	არეოლა კარგად ჩანს ორივე ტუჩის გარეთ
1-2 წოვით აქტს მოყვება ყლაპვა	ყლაპვა მოყვება 10-12 წოვით მოძრაობას
ბავშვი კმაყოფილია, და მშვიდი დედა არ განიცდის ტკივილს	ბავშვი უკმაყოფილოა, ტირის დედა განიცდის ტკივილს
ბავშვის კეფა და კისერი ფიქსირებულია დედის ხელით	დედის ხელით ფიქსირებულია თხემის მიდამო
ბავშვის თავი, კისერი და სხეული ერთ ხაზზეა	ბავშვის თავის და სხეული არ არის ერთ სწორ ხაზზე, დედისკენ მიტრიალებულია მხოლოდ თავი

ახალშობილის და ჩვილის შარდვის სიხშირე

პირველ დღეებში ვლინდება შარდვის სიხშირის უფრო დაბალი მაჩვენებელი ფიზიოლოგიური ანურიის გამო. სიცოცხლის მეოთხე დღიდან კი ახალშობილი და ჩვილი 24 საათში უნდა შარდავდეს მინიმუმ 6-ჯერ, რაც მითითებს იმაზე, რომ ბავშვი იღებს საკმარისი რაოდენობით რძეს. (თუ ბავშვს ახმარენ პამპერსს შარდვის სიხშირის განსაზღვრისთვის დასაშვებია სველი საფენების რაოდენობის დათვლა).

ახალშობილის და ჩვილის ნაწლავთა მოქმედების სიხშირე

დაბადებიდან პირველი 48 საათის შემდეგ სიხშირე ჩვეულებრივ უნდა იყოს 1-3 დღე-დამეში, თუმცა შესაძლებელია დევეკაცია ყველა კვების შემდეგ, მოყვითალო ფერის ფაფისებრი კონსისტენციის განავლით.

ახალშობილისა და ჩვილის ქცევა – ბავშვი კმაყოფილია და მშვიდი ყველა კვების შემდეგ.

ახალშობილისა და ჩვილის წონა

- სამშობიარო სახლში წონის დანაკარგი 7-10%-ზე ნაკლები;
- წონაში კლების შეჩერება სიცოცხლის მესამე დღიდან;
- წონაში მატების დაწყება სიცოცხლის მეხუთე დღიდან;

- დაბადების წონის აღდგენა სიცოცხლის მე-10-14-ე დღეს;
- მე- 10-14-ე დღის შემდეგ – წონის საშუალო ნამატი
 - 15-30 გ დღეში
 - 125-200 გ კვირაში
 - 500 გ ოქტობრი

სარძევე ჯირკვლისა და დერილის მდგომარეობა

ფასდება:

- ნახეთქების არსებობა დერილზე;
- ჰერპესული გამონაყარი დერილზე;
- დერილის კანდიდოზური ინფექცია;
- სარძევე ჯირკვლის გაჯირჯვება;
- გამკვრივებული უბნის არსებობა სარძევე ჯირკვალში;
- სარძევე ჯირკვლის ჰიპერემია.

3. არაეფექტური ძუძუთი კვების ნიშნები

არაეფექტურ ძუძუთი კვებაზე მიუთითებს შემდეგი ნიშნების არსებობა:

ბავშვთან დაკავშირებული

- არ ისმის ყლაპვის ხმა წოვის დროს;
- ბავშვი მუდმივად მშიერია და ვერ კმაყოფილდება;
- ბავშვი არ ითხოვს საკვებს 4-6 საათის განმავლობაში;
- ახლშობილებში კვებათა სიხშირე ნაკლები 8-ზე, ჩვილებში-7-ზე;
- თითქმის ყველა კვება გრძელდება 45 წთ-ზე დიდხანს;
- სიცოცხლის პირველი 3 დღის შემდეგ შარდვის სიხშირე ნაკლები 6-ზე 24 საათის განმავლობაში;
- გამოხატული ყაბზობა, მკვრივი კონსისტენციის, მუქი ფერის განავლით;
- სამშობიარო სახლში წონის დანაკარგი აღემატება 6-10%-ს,
- არ არინიშნება წონის კლების შეჩერება;
- არ აღინიშნება წონაში კლების შეჩერება სიცოცხლის მესამე დღიდან;
- არ აღინიშნება წონაში მატების დაწყება სიცოცხლის მეხუთე დღიდან;
- არ აღინიშნება დაბადების წონის აღდგენა სიცოცხლის 10-14 დღეს;
- 10-14 დღიდან წონის საშუალო ნამატი ნორმაზე დაბალია ან აღინიშნება წონაში ნამატი შეჩერება.

დედასთან დაკავშირებული

ერთი ან რამდენიმე ინდიკატორის არსებობა რომელიც გამოვლინდება სარძევე ჯირკვლისა და დერილის მდგომარეობის შეფასების დროს.

რეპომენდაცია

არაეფექტური ძუძუთი კვების შემთხვევაში, საჭიროა არსებული პრობლემის იდენტიფიცირება და დედის კონსულტირება შესაბამისი პრობლემის მართვის თაობაზე (ი.e. პროტოკოლი „ძუძუთი კვების პრობლემები და მართვა”).

- სამშობიარო სახლში უნდა გაგრძელდეს დინამიური დაკვირვება დღეში მინიმუმ ორჯერ;
- ჯანდაცვის პირველად რგოლში არაეფექტური ძუძუთი კვების დროს, საჭიროა განმეორებითი ვიზიტის დაგეგმვა (2-3 დღეში);
- თუ კვება ეფექტურია, უნდა გაგრძელდეს დინამიური დაკვირვება და ჩატარდეს შესაბამისი კონსულტირება ოპტიმალური ძუძუთი კვების პრინციპებზე;
- თუ ჩვილი საერთოდ ვერ წოვს ძუძუს ან აღენიშნება ხშირი დებინება, აუცილებელია მისი დაუყოვნებლივ გადაგზავნა სტაციონარში.

4. ოპტიმალური ძუძუთი კვების მართვის პრინციპები

- ძუძუთი კვების ადრეული დაწყება და კანი-კანთან კონტაქტი მშობიარობიდან 1 საათის განმავლობაში, კანი-კანთან კონტაქტის ხანგრძლივობა მინიმუმ 30 წთ;
- სამშობიარო სახლში დედისა და ბავშვის ერთად ყოფნა 24 საათის განმავლობაში;
- მოთხოვნილებითი, ხშირი ძუძუთი კვება (ახალშობილი 8-12-ჯერ ჩვილი მინიმუმ 7-ჯერ 24 საათში);
- სარძევე ჯირკვლის ბოლომდე დაცლა;
- ორივე ძუძუდან კვება ერთ კვებაზე;
- დამით კვება;
- ექსკლუზიური ძუძუთი კვება 6 თვემდე;
- ძუძუთი კვების გაგრძელება 2 წლამდე.

5. გაიდლანი რომელსაც უყრდნობა აღნიშნული პროტოკოლი – „2 წლამდე ასაკის ბავშვის კვება”

6. ადამიანური რჩევასი

ნეონატოლოგი, პედიატრი, ოჯახის ექიმი, მედდა.

ძუძუთი პვების დაპრალებები და უკუჩვენებები

ძუძუთი პვების უკუჩვენება - დედისმხრივი

აბსოლუტური

- შიდსი;
- ადამიანის T-ლიმფოგროპულ (TLV-1) ვირუსზე სეროპოზიტიური დედა.

დროებითი

- ტუბერკულოზის დია ფორმა;
- ზოგიერთი მედიკამენტის მიღება (ციტოსტატიკები, რადიაქტიური პრეპარატები). რადიოზოგროპული თერაპიის შემთხვევაში კვება წყდება მანამ სანამ იზოგოპი ელიმინირდება დედის სხეულში;
- დვრილების ჰერპესული დაზიანება – დროებით უნდა შეწყდეს კვება დაზიანებული მკერდიდან;
- სარძევე ჯირკვლის აბსცესი - დროებით უნდა შეწყდეს კვება დაზიანებული მკერდიდან;
- ნარკომანი დედა.

ძუძუთი პვების უკუჩვენება - ბავშვისმხრივი

აბსოლუტური

- ფენილკეტონურია;
- გალაქტოზემია;
- ლეიცინურია (ნეკერჩხლის სიროფის დაავადება).

ძუძუს წოვის დაბრკოლებას წარმოადგენს ასევე ბავშვის ზოგირთი მდგომარეობა

- მძიმე ნეკროლოგიური დაზიანება (სამშობიარო ტრაგმა, ქალასშიგა სისხლჩაქცევა);
- ღრმა დღენაკლულობა (წოვისა და ყლაპვის რევლექსების არარსებობა);
- მკეთრად გამოხატული რესპირაციული დისტრესი;
- გულის თანდაყოლილი დეკომპენსირებული მანკი;
- ენის ლაგამი.

ასეთ შემთხვევებში მიზანშეწონილია ბავშვის კვება გამოწველილი რძით. კვება წვენების მიხედვით უნდა განხორციელდეს კოგზის ან ზონდის საშუალებით. ხელოვნური საკვები არის უკიდურესი არჩევანი.

დედის მდგრადიობა, რომელიც არ შემოაღებელს ძუძუთი კვების წინააღმდებრივებას

- დედის ცხელება;
- B და C ჰეპატიტი, ციტომეგალოვირუსული ინფექცია;
- იშვიათ შემთხვევაში HbsAg ანტიგენი აღმოჩენილია ქალის რძეში, თუმცა არ არსებობს მტკიცებულებები, რომ ძუძუთი კვების დროს იზრდება დედიდან ბავშვზე დაავადების გადაცემის რისკი. თუ დედას HCV და HbsAg ანტიგენის მატარებელია, მიზანშეწონილია თავი შეიკავოს ძუძუთი კვებისგან თუ მას აღენიშნება დვრილის ნახეოქები და სისხლდენა;
- დედის ვირუსული ან ბაქტერიული ინფექცია;
- თამბაქოს მოხმარება - თამბაქო იწვევს ლაქტაციის შემცირებას. მწეველი ქალი უნდა ეცადოს არ მოწიოს ან შეამციროს თამბაქოს მოხმარება, ორსულობისა და ძუძუთი კვების პროცესში. მაგრამ თუ ქალი აგრძელებს მოწევას მისი რძე მაინც საუკეთესო საკვებია ბავშვისთვის. დედამ არ უნდა მოწიოს მაშინ როცა ბავშვი ხელში უჭირავს. ალკოჰოლის გამოყენება დასაშვებია იშვიათად, მცირე რაოდენობით (ხანგამოშვებით ერთი ჭიქა დვინო).

მედიკამენტის გამოყენება ლაქტაციის პერიოდში

რეკომენდებულია

- მედიკამენტის უსაფრთხოებაში დარწმუნება;
- მედიკამენტის დანიშვნა მხოლოდ აუცილებელობის შემთხვევაში;
- მედიკამენტის შეძლებისდაგვარად მცირე დოზით და ხანმოკლე კურსით გამოყენება;
- გახანგრძლივებული მოქმედების პრეპარატების გამოყენებისაგან თავის არიდება;
- მედკამენტის მიღება ბავშვის კვებათა შორის ყველაზე ხანგრძლივი ინტერვალის, ან უმუალოდ კვების დროს;
- პრეპარატის შეცვლა თუ იგი ბავშვთან იწვევს გვერდით ეფექტს;
- ძუძუთი კვების შეწყვეტა თუ დედასთან აუცილებელია იმ პრეპარატის დანიშვნა, რომელიც უკუნაჩვენებია ლაქტაციის პერიოდში;
- მინიმუმადე უნდა იყოს დაყვანილი ისეთი მედიკამენტების დანიშვნა, რომლებიც ლაქტაციას ამცირებენ (მაგ.: ესტროგენების შემცველი კონტრაცეპტივები, თიაზიდის შემცველი დიურეტიკები).

ლაქტაციის პერიოდში წინააღმდეგნაჩვენები მედიკამენტები

<p style="text-align: center;">მოცემული მედიკამენტების გამოყენება არ შეიძლება ლაქტაციის დროს. უკილებლობის დროს საჭიროა ძუძუთი კვების შეწყვება.</p>	
<p style="text-align: center;"> ციტოსტატიკები რადიოაქტიური ნივთიერებები ბრომიდები ქლორამფენიკოლი; ტეტრაციკლინი, ქინოლონის რიგის ანტიბიოტიკები (ციპროფლოქსაცინი) </p>	<p style="text-align: center;"> ოქროს მარილები სალიცილატები (მაღალი დოზით) მეტრონიდაზოლი იოდიდები (ტოპიკური მოხმარების ჩათვლით) </p>
<p style="text-align: center;">პოტენციურად საშიში მედიკამენტები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია, თუმცა აღინიშნება გვერდითი ეფექტი</p>	
<p style="text-align: center;"> ანტიპისტამინისა და დეკონგესტანტის კომბინაცია * ატენოლოლი ბენზოდიაზეპინები კლინდამიცინი რეზერპინი ნიტროფურანები სულფანილამიდები </p>	<p style="text-align: center;"> ესტროგენის შემცველი კონტრაცეპტივები * ეტოსუქსიმიდი ნარკოტიკული საშუალებები ნიკოტინი (მოწევა) * თიაზიდის ჯგუფის დიურეტიკები (გახანგრძლივებული მოქმედების ან მაღალი დოზით) * პიროქსიკამი ფენობარბიტალი (ანტიკონვულსიური დოზა) </p>
<p style="text-align: center;">მედიკამენტები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია, თუმცა იშვიათად აღინიშნება გვერდითი ეფექტი</p>	
<p style="text-align: center;"> ამინოგლიკოზიდები ანტიკოლინერგული პრეპარატები ანტიკონვულსანტები (ფენობარბიტალის და ეტოსუქსიმიდის გარდა) ანტიპისტამინები ანტიტუბერკულოზური აზათიოპრინი ბარბიტურატები (ფენობარბიტალის გარდა) ვერაპამილი ტრიციკლური ანტიდეპრესანტები ტეტრაციკლინი </p>	<p style="text-align: center;"> ბუტიროფენონები (მაგ. ჰალოპერიდოლი) ორალური დეკონგესტანტები* ფლუკონაზოლი H₂ ჰისტამინობლოკატორები არასტეროიდული ანთებისსაწინააღმდეგო საშუალებები (უმჯობესია იბუპროფენი) მეტოკლოპრამიდი სალიცილატები ტერფენადინი სპირონოლაქტონი თიაზიდური დიურეტიკები, ხანმოკლე მოქმედების (დაბალი დოზა) </p>
<p style="text-align: center;">მედიკამენტები, რომელთა გამოყენება უსაფრთხოა ჩვეულებრივი დოზირებით</p>	
<p style="text-align: center;"> ჰარაცეტამოლი ანტაციდები ცეფალოსპორინები ერითრომიცინი პენიცილინები ვანკომიცინი კორტიკოსტეროიდები ნაზალური დეკონგესტანტები ჰეპარინი </p>	<p style="text-align: center;"> საინჸალაციო სტეროიდები და ბრონქოდილატატორები მაგნეზია ლიდოკაინი დიგოქსინი თეოფილინი პროპრანოლოლი მიკონაზოლი, ჰლოტრიმაზოლი </p>

გამოყველილი რძის შენახვა

- უსაფრთხოების მიზნით აუცილებელია გამოწველილი რძის შენახვის პრინციპების დაცვა;
- რძე ინახება 25°C -ზე 3-4 საათის განმავლობაში;
- რძე ინახება 4°C -ზე მაცივარში 48 საათის განმავლობაში.

რძის გათბობა შეიძლება თბილ წყლიან ჭურჭელში. დაუშვებელია რძის გათბობა მიკროტალოვან დუმელში ან მისი ადუღება. დაუშვებელია ნარჩენი რძის კვლავ მაცივარში შენახვა და გამოყენება.

დონორის რძე

მტკიცებულებათა უმეტესობის მიხედვით არ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება დედის რძესა და დონორის რძეს შორის. შესაბამისად შესამატებელ საკვებად საჭიროების შემთხვევაში შეიძლება დონორის რძის გამოყენება შესაბამისი უსაფრთხოების ზომების გათვალისწინების შემდეგ.

დონორის შერჩევისას აუცილებელა შემდეგი პინციპების დაცვა:

- დაავადებათა ტრანსმისის თავიდან აცილების მიზნით, დონორმა უნდა გაიაროს სისხლის ტესტირება აივ და HTLV 1 და II ვირუსებზე;
- რძის ჩაბარებისას დონორს არ უნდა ჰქონდეს მიღებული 150-200 მლ კოფეინის შემცველი სითხე დღის განმავლობაში სამ ჯერზე მეტად;
- თუ დონორის რძე არ არის შემოწმებული, მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ კასტერიზაციის შემდგომ.